კვირა, 22 იანვარი 1917 წ. რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6. ფასი 15 კაპ.

ეშმაკის მათრახი

№ 4

1917

შინაარსი: მოწინავე. მორიელი — ომის მიმოხილვა. შექანჯალებული — შექანჯალებულის წერილები. ვალ. შალიკაშვილი — ზავი. მუტუნა — დაგვიანებული მილოცვები ფოთიდან. გ. ლომთათიძე — სასჯელი, ძამია — მეც უნდა გავიქრო. ეშმაკი — მომენტის საკითხი. შანთი — შარადა. გოგია — შაქარი ქიათურაში. დია — ამასაც თუ მოვესწრობოდი... — ფოსტა.
კარიკატურები: თადარიგი. სპარსეთში...

გონივრული თადარიგი

ჭკვიანი ხალხი

ომის მიმოხილვა

თფილისი, 22 იანვარი

ზ ა ვ ი ქვეყანა დარწმუნებულია იმაში, რომ თანამედროვე ომი დიდ მსხვერპლს თხოულობს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან უფულოთ რომელი სულელი იჩხუბებს. ესეც არ იყოს, ვინ გიჟი იქნება თოფი და ტყვიაწამალი მუქთათ მოგცეს, რკინისა და უბრალო ტალახის გზები გაგიყვანოს! ასეთი ქველმოქმედი ჩვენ არ გვეგულება არც ამერიკასა და არც აზიაში. საიდუმლოს არ შეადგენს არც მეორე მხარე ომისა, რომელიც აგრეთვე სახეში მისაღებია. მე მოგახსენებთ ცოცხალი ძალის განადგურებაზე. დღეს აშკარაა ისიც, რომ ომში არა ერთი და ორი კაცი ესალმება ამ წუთისოფელს. მაშ რა გამოირკვა?

გამოირკვა ის, რომ ომი საზარალოა, რის დამტკიცებაც უმთავრესად შეადგენდა ამ წერილის მიზანს.

ჩვენის ღრმა რწმენით, აი, სწორეთ ამიტომ გაიყო კაცობრიობა ორ ბანაკათ. ერთი ბანაკი მოითხოვს „ზავს“, მეორე ბანაკი მოითხოვს „ომს ბოლომდი“. გავერკვეთ ამ საკითხებში.

— რას წარმოადგენს „ზავი?“

— ზაზი წარმოადგენს მშვიდობის დამყარებას, ანუ ომის დაბოლოებას.

— რას წარმოადგენს „ომი ბოლომდის?“

— ცხადია, არსებითად ესეც ომის დაბოლოებას გულისხმობს და მაშასადამე ზავის ჩამოგდებასაც.

ამგვარათ მთელი კაცობრიობა არსებითად ერთი მიზნისკენ მიისწრაფის: მას უნდა ომი დააბოლოოს ე. ი. ჩამოაგდოს ქვეყანაზე ზავი. როგორ მივაღწევთ ამ სანატრელ მიზანს? აი საკითხი, რომლის გადაჭრაც ძნელსა და რთულ საქმეს წარმოადგენს. პირველ ყოვლისა საჭიროა ქვეყანაზე არ იყოს ნეიტრალური სახელმწიფო, ვინაიდან მათი ინტერესი სწორეთ რომ ომის დაუბოლოვებლობას მოითხოვს. თუ ომში ჩათრეულ იქმნა: ჩინეთი, ამერიკა, სპარსეთი, ავღანისტანი, ბელუჯისტანი, ბრაზილია, ჩილი, პერუ, მექსიკა, აბესინია, ისპანია, შვეიცია, ნორვეგია, დანია, ჰოლანდია და საბერძნეთ, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ ომს მალე მოეღება ბოლო და ზავიც ჩამოვარდება.

კარგა ხანია ჩვენ ჩვენი მკითხველისათვის ... უსაშინელესი ბრძოლის შესახებ არაფერი გვითქვამ. მიზეზი?

მიზეზი მრავალია. უმთავრესათ ჩვენ გვსურ... მცირე ხნით მიგვეშვა თავის ნებაზე მოწინააღმდეგ... მებრძოლთა სტრატეგები, გვინდოდა გვენახა, თ... რას იზამდენ. ჩვენმა განზრახვამ ჩინებული ნაყოფ... გამოიღო: მოწინააღმდეგენი დაიბნენ და თითქმ... შეჩერდენ, საით წავიდნენ აღარ იციან. დეპეშა... სააგენტოები ერთხმად აღნიშნავენ, რომ როგორ... დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის, როგორც ჩრდ... ლოეთის, ისე სამხრეთის, როგორც ჩრდილო-აღმ... სავლეთის, ისე სამხრეთ-დასავლეთის და როგორ... ჩრდილო-დასავლეთის აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლ... თის ასპარეზები დადუმდენ. არც ერთ თეატრს, ა... მაკედონიისას, არც იტალიისას, არც რუმინიის... არც კარპატებისას, არც რუსეთისას, არც საფრ... გეთისას, არც ეგვიპტისას და არც კავკასია-მეს... პოტამიისას სიცოცხლე აღარ ეტყობა. ზამთრის ... ზონი თითქმის მიწურულში მივიდა, ხოლო თეა... რები სდუმან.

მაგრამ შემცდარი იქნება ვინც იფიქრებს, თ... ქო ეს დუმილი მუდმივი იყოს. არა და არა. ზ... თრის სეზონს გაზაფხულისა მოსდევს, გაზაფხულ... ლისას ზაფხულისა და იმას კიდევ შემოდგომის... ვიდრე ისევ ზამთრისას არ მივებჯინებოდეთ. გ... ფხული გამოცოცხლების ხანაა და ჩვენც სრულ... იმედი გვაქვს აწ მიდუმებული თეატრები ხმას ამ... იღებენ.

— სად გავარდება პირველი მეხი?

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი თ... ტრი უწინ ახმაურდება. არსებითად ეს მომავალ... საქმეა. დეპეშათა სააგენტოები ამის შესახებ არეკ... ცნობებს იძლევიან და ამიტომაც იძულებული ვა... გულის ფანცქალით ველოდოთ, რას გვეტყვის მო... ვალი. აშკარაა, თითეული ცალკე თეატრი გა... ციცებით ემზადება მომავალი სეზონისათვის, მაგ... უმთავრესი საქმე მოსწრობაშია. ვინც უწინ მოე... დება, ის უწინ ამოიღებს ხმას და მაშასადამე ... უმზადებელზე უფრო მომზადებული იქნება.

დარწმუნებული ვარ მკითხველს კარგათ ეს...

მება ჩვენი აზრი რუმინიის თეატრის შესახებ. იქ აშკარათ იყო გამოთქმული, საით დაიხევდა რუმინიის ჯარი, უკეთუ მას დასავლეთ-სამხრეთ-ჩრდილოეთით მაკენზენის არმია მოაწვებოდა. და აი, ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ ჩვენმა პატარა მოკავშირემ თავისი არმია აღმოსავლეთით გადმოაჯგუფა წინასწარ გამზადებულ მდინარე სერეტზე. ჩვენ იმავ წერილში (იხ. „ეშმაკის მათრახი“) მკაფიოდ აღვნიშნეთ ისიც, თუ რა გზას დაადგებოდა სერეტის ნაპირებს ამოფარებული რუმინელთა ჯარი. ჩვენ ვამბობდით: — „თუ მოპირდაპირემ შეაჩერა იერიშები, იმ შემთხვევაში ამოფარებული ჯარი ფეხს მტკიცეთ მოიკიდებს მდინარე სერეტის მარცხენა ნაპირზე, ხოლო, თუ ნემცებმა გაარღვიეს ეგ ხაზიც, მაშინ რუმინიის ჯარი ამოეფარება მეორე მდინარე პრუტის ნაპირებს. ეს დებულებაც სრულად გამართლდა.

ჩვენი აზრი სავსებით გამართლდა აგრეთვე მაკედონიის თეატრის შესახებ. მე და ჩემთან ერთად ყველა ქართველი სტრატეგები იმ აზრისა ვიყავით, რომ გენ. ფალკენჰაინი არ მოუცდიდა ავდრების გადაღებას და სარაილის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ამას მოითხოვდა როგორც სტრატეგიული, აგრეთვე პოლიტიკური და ტაქტიკური სადი მოსაზრებაც. გენ. ფალკენჰაინი მართლაც წავიდა მაკედონიაში, მაგრამ საჩხუბრათ აღარ შეჩერებულა პირდაპირ ათინას გაემგზავრა.

ჩვენ გავათავეთ. ასეა, თუ ისე, ომის მიმდინარეობა ერთგვარ ლოღიკურ კალაპოტშია მომწყვდეული და ამით აიხსნება ომის მიმოხილველთაგან მისი ასე გარკვევით წინასწარ განჭვრეტა.

მორიელი.

შექანჯალებულის წერილები.

კაცი როცა შექანდება,
შეურეკავს, შეუპრინტავს,
ზოგჯერ იგი იმ ბოდვაში
ჭკვიანურსაც იტყვის ხოლმე.
სოლ. ზურგიელიძე.

აბა დელი, დელია,
რა ახალი წელია...
კუჭი მეწვის, წელია,
მჭადი შამომელია...
სახლში შამო, მელია!!

—

აბა დელი, დელი დელი,
მოკვდეს ბესარიონ ლვდელი...
რა დრო დადგა და რა წელი...
ქალო, სულ რომ ძროხას წველი,
თუმნად მომე ათი ყველი...
ვინ იხილეთ წელს ლვეძელი???!
პურის ფქვილი მოსაზელი
ვერ ვიშოვნე, ვერ შევძელი...
რა მძიმეა ნიგვზის ძელი!...

—

ია, უა, ია, უა, ია, უა, უა, უა.
მიფათქუნობს თავში ჭკუა...
ფურნის წინ... და პურის ყუა...
იასონმა მოგვატ—ყუა...
ცოტა ფული გამოგვტ—ყუა
რა ქნას, ჯიბით ვერ იგ—უა...

—

მიხა, ლადო, კიდომ ლადო...
ხან ამბროსიც... ხარიტონი...
კარტს არიგებს... მოდით ფსონი...
„წაასვენეს „სპირიდონი“...
რა კარგია ღორის ქონი...
თლად გაძვირდა წელს საპონი...
ქებულია შალით ონი...
პირ ახვეულ ქალით ხონი...

—

ვაი დედააааავ!.. ვაი, ვაი!..
მომეწევა ეს ტრამ — ვაი...
მე მომდევს ავტომობილი,
გამიერთოს სურს ძვალ-რბილი...
არსად არის პურის ფქვილი...

—

მჩხვერავს ტვინში... და ავტირდი...
ქალო მატყობ, რომ ავხირდი...
მოგატყუე... თუმც დაგპირდი...
რადგანც წინეთ ქვეყნათ ღირდი,
მაინც, რამე გამიპირდი,
მოსკოვისკენ მიმაქვს სპირტი...

—

ვოდელია რანუნი,
ვოდელია რანინა,
მტანჯავს ტვინის ფათქუნი...
შემიყვარდა მარინა...
ჯავრმა მთლად შემარინა...

—

როგორ მომწონს ეს ბათუმი...
აქ, ბევრსა აქვს ჭკუა უმი...
მათ შესახებ ჯერ ვარ ჩუმი...
თუმცა ისე ვარ ყარყუმი...

—

ქალი დგვითხოვია...
ყოჩაღ, ბიჭო, „უპრავა!“
ეი, ბოღუ, ტი, პრავა...
ღლია, მენია, ვსიო ტრინ-ტრავა...

აძანჯალეგული.

(შემდეგი იქნება)

ზაპი

იმერელი და სომეხი შეხვდებიან ერთმანეთს და მსჯელობენ ზავის პირობებზე.

იმერელი—Знаишь слуши Германія говоритъ—миръ давайо.

სომეხი—Што говоритъ—давайо?

— Миръ... Миръ...

— Миръ што такой?

— შე კაცო, миръ какъ не знаишь? миръ, миръ!

— А, знаимъ, знаимъ! миръ—энта усіо... земла, гор... мори...

— Энта тоже миръ, მარა энта другой миръ,

— А знаимъ, знаимъ!.. миръ—энта котори на лобъ помозалъ?!

— ვა შე კაცო, თლათ ყრუი არ ყოფილხარ! Миръ какъ ни знаищъ? Миръ—энта... Миръ Миръ. Вотъ ти мине морда побилъ, я тебе морда побилъ... потомъ я тебе говоритъ—„Здрасти“, ти менѣ говоритъ—“мой почтенія“ ти рука давай, я рука давай—და გათავდა!

— А, теперъ знаимъ! Энта наши Парсегъ Погосу деситъ зубъ вибилъ, потомъ садили да вино мѣстѣ випили... Скажи пожалуста, ти учени?

— Канешно што учени! На приходской школа на спервой класъ четире годъ училъ.

— Ва, ва, ва!.. Скажи пажалуста, Германія зачемъ говоритъ, миръ давайо?

— იმე, Зачѣмъ да, руски болшой кулакъ показалъ-да, Германіа испугалса-да оступленіа хочитъ.

— Оступленіа што такой?

— იმე! оступленіа какъ ни знаишь, შე კაცო... დანაზათება არ იცი? Назадъ, назадъ!

— А, знаимъ, знаимъ! энта какаъ наши эшакъ на тачку... Слуши—Германіа говоритъ—миръ давайо да руски ни даетъ?

— აბა, не даіотъ!..

— Зачимъ ни даіотъ-да Германіа говоритъ—я много кушитъ надо-да много даваіо... Руски говоритъ—я тоже много кушитъ надо—много даваіо.

— Ва, конешно, слуши, руски много кушитъ надо. Знаишь, я руски купецъ видилъ,—во такой животъ ему билъ.

— Энто што слуши, я руски купецъ видилъ—купецъ здѣсь сидилъ—животъ—тамъ; Конешно, много надо кушитъ. Руски чалавикъ усіо кушитъ: Австріа кушитъ, Германія—кушитъ, Турціа—кушитъ, Персія—кушитъ

ешо кушитъ хочетъ—აბა!

— Ва, ва, ва! Эи Богъ правда слова говоришъ.

— Іа знаи—да говору—ბატონო!

— Теперь—руски не даіотъ?

— Конешно што не даіотъ, слуши! Германія говоритъ—Полша давайо, Сербіа давайо, Белгіацъ давайо, Руминіацъ давайо! Усіо давайо-да, какъ можна?

— Ва! правда энта ни можна!

— Ишо Чернагоріацъ давайо!

— Ва, Черногори тоже?

— აბა!

— Руски ни даіотъ?

— Конешно ни даіотъ!

— Слуши, скажи ему, пускай даіотъ. Руски на што чернагоръ? Развя эму мала эстъ на Чіатуръ, на Ткибулъ? Эибогу да волна!

— Ви думилъ Черногоріа -энта марганецъ?

— Ва, а што?

— Энта имперіа, имперіа...

— Имперіа? такой болшой, какъ Англицки?

— Такой балшой—аба!

— Энта Чернагоріа гдѣ лежитъ, ни помнимъ?

— Ше кацо, аба што помнишь? Миръ ни знаишъ, оступленіа ни знаишъ, Чернагоріа котори на Сибиръ лежитъ ни знаишъ!? аба, што знаишъ??

ვალ. შალიკაშვილი.

ფოთი

(დაგვიანებული საახალწლო და ნაადრევი ს. ყველიერო მილოცვა).

ყოველგან და ყველაფერზე
ყოველ წამში ვინც დარბოდეს
ყველაფერი დაუბრკოლდეს
რაც კი გამოიწყოს საქმე.

ს. ზურგიელიძე.

(ცხადია, ცუდათ შესრულდა
ბატონ ეშმაკის ბრძანება,
რომ უნებლიეთ მოგიხდა
მილოცვის დაგვიანება.
მოწმათ მყავს მთელი ქალაქი
თავის ჯიუტი „თავითა,“
დამცველათ პონტო-ფაზისი
ბოძალი შესართავითა,
მსაჯულათ მუშათ უბანი
სახელდობ „დიდი კუნძული,“
რომ შეაფასონ ქუჩებში
ჩემი უვადო ძუნძული 1)

ქალაქის კოშკს

წარსულის უტყვო მოწამევ,
დამხდურო მომავალისა,
დარაჯო პონტო-ფაზისის
ისტორიული ვალისა,
აწმყოზე უმადურობით
გამოგიხურავს კარები,
აღარ რეკს დროთა ნიშანი
შენი სიფხიზლის ზარები,
უიმედოთ ხარ, ეული,
მარტო ხელ ამირბარითა,
გამხნევდეს ოცი ათასით
„ქართული თეთრი“ ჯარითა.
ოცდა ათს კიდევ მოელის
ახალი ლიანდაგითა
სარდალი თუ გვეყოლობა
ხაზს გავამაგრებთ მაგითა,
მარა სარდალს რომ კარებზე
ფეხები დაუხოცია?
(მარტო აღლუმი არ კმარა,
როდესაც რიცხვი-ოცია)
„შავი სამეფოს“ რეგენტი
თუმც მაზე კი გვეცილება,
მარა უსარდლოთ დაგდება
ჩვენი მან რატომ ინება?!
„ციხე-კოშკს უნდა სარდალი,
სარდალსა ღონისძიება.
ჯარის აბუჩათ აგდება
ძნელათ თუ შერჩეს ვინმესა“ 2).

თვითმართველობას

ხმოსანთა კრებას გიქებენ,
ვით ჯვარელს ცხვრების ღარასა
ერეკებიან არ იტყვის:
არცა „კის“, არცა „არასა“.
შემადგენლობა ამათი
ეშმაკმაც იცის რაც არი
წინ გამგეობა მიუძღვის
ცხვარის ჯოგს ვითა „ქაცარი“ 3)
არჩევანი ქნეს უფროსის
(კარგათ იყო, თუ ავათა
თუმც ისევ ძველი აკურთხეს
მწყემსათ და მოურავათა)
შენი რაც უნდა უმტკიცო
დაშვებული აქვს ყურები

1) ძუნძული „ბეგომს“ ნიშნავს.

2) სოლომონ ზურგიელაძე.

3) ქაცარი ჯოგის წინამძღვარი კაცი.

თავისას შვრება, თუმცაღა
ერთგული ნამსახურები
არ დაუფასა არავინ.
პირიქით ლანძღვა გინება
მძიმე საპალნე აკიდულს
მოდი და ნუ გეწყინება.
თუნ სანახევროთ სკოდნოდათ
თავის როლების თამაში
ვინ გვაჯობებდა ფოთელებს
შაქრის და პურის ჭამაში?
ჩვენი ულუფა სხვებს მიაქვს,
ნერწყვი გვაშრება პირზედა
მალე შიმშილიც გვეწვევა
სხვა მრავალ გასაჭირზედა
პურის მაგიერ შეშას სჭრით
შაქრის მაგიერ „შპალებსა“
თუ მოსაგებით ისტუმრებთ
ჩვენი ქალაქის ვალებსა
(ისე აშენდით ოჯახში)
ეს კიდევ მესმის, კარგია,
იჯარადარი საბჭოში
სხვაფრივ ზედმეტი ბარგია.

საურთიერთო კრედიტის ბანკს

აღებ მიცემის არგანოვ
ეს თქვენი ბუხგალტერია
ენუქას ანდერძს წააგავს
"პასივში" სადაც სწერია:
„დვესტი ტისიჩი კრედიტი“
უპრავას ადევს ვალათო
ვაი მას ვასაც დაედვას
აგი ცოდვათ და ბრალათო.

ქალაქის ბანკს

ჯერ არ შობილო მოგნათლეს
„აბრამათ“ ნაწოდებითა,
თან შენს მომავალ აღმზრდელებს
ვერ ვიხსენიებ ქებითა.

წვრილ კრედიტს

ჯერ ჯერობით კარგი ხართ
წევრებსაც კი გვარგიხართ,
მარა საბჭოს კრებაზე
გამგეობის ნებაზე
მასაგების გაყოფას
რომ ეტყოდეთ ვარყოფას
საზოგადო წესია
თქვენთვის უკეთესია.

ნავთსადგურის მუშებს

კურტანი გექცა მუთაქათ,
ზურგზე შიმშილი გკიდია
გემებს მოელით, არა სჩანს,
თქვენი კრიზისი დიდია.
პოლიტიკურათ ძილში ხართ
სიზმარში პრაქტიკულათა
მტრებს რაღას ვერჩით თავის ბედს
თითონ ეპყრობით მტრულათა

რწმუნებულებს

ამხანაგურათ მოსულხართ,
დამდგარხართ ხაზეინთანა
რით განსხვავდებით იმათგან
გინც იყვენ თწვენზე წინათა?!

„ეროვნულ მუშებს“

სახელს „ეროვნულს“ ატარებთ,
საქმე სიტყვაზე ჰკიდია
ნამდვილათ სმა და თამაში[4])
თქვენი ცხოვრების ხიდია

რწმუნებულს

ორ ხელობას რომ ატარებ
არ გიწონებ გეტყვი სწორეს
„ჟირი ჭოფი“-ს გაეყარე,
ან ერთსა და ან მეორეს

მარგანეცის მუშებს

სჯობს ისევ თქვენი სახელიც
მონათლოთ „ეროვნულათა“,
დემოკრატიულს ყველაფერს
რადგან უცქერით მტრულათა

პირველ რწმუნებულს

„ვინც რა უნდა თქვასო
წისქვილმა კი ფქვასო“

მეორე რწმუნებულს

„ზოგისა ბამბა ჩხრიალებს,
ზოგის კაკალიც არაო“
რას უცდი, კაცი ჯვარ ნაწერ
ცოლსაც კი გაეყარაო.

) არა სცენაზე, არამედ საყავეში

ხე ტყის ქარხ. მუშებს

ხან მხერხავების მონა ხართ,
ხან მოხვალთ ბრძოლის მადაზე.
გისურვებთ: ფასი გაზეთის
გადაგეხადოთ ვადაზე.

ჩვენს კორესპოდენტს

თუ არ იქმდი რათ იდევი
თავზე ხრონიკების წერა?
და ამ ბოლოს სანატრელათ
გაგვიხადე შენი მზერა.

ინტელიგენტებს

სიტყვით ქვეყანას აშენებთ
საქმით ხუხულაც კი სჭირდეს,
არშიყობა, სმა, თამაში
კიდევ უფრო გაგვიხშირდეს.

წ. კ. გამგეობას

თუ არაფერს აკეთებდით
შკოლა რატომ წაახდინეთ?
სრული საზოგადო კრება
ერთხელ მაინც მოახდინეთ.

დრამატ. საზოგადოების კრებას

რაღათ გინდათ ეგ ხახელი
წარმოდგენებს თუ არ მართავთ
რომ არ იყოთ ის სჯობია,
ყოფნით საქმეს უფრო ხლართავთ.

ბუტუნას სააგენტოს.

მრავალ გვარი დაპირებით
მკითხველები მოგვატყუე,
შეშინდი, თუ ამ სიჩუმეს
რა აზრი და ჭკუა სთხუე?

მოარშიყე ქალებს.

ჩემი გრძნობის მემანქანევ
და გონების ამირბარო,
თქვენს თვალებში მოქუხს ჩემი
უკვდავების მჩქეფი წყარო.
ტანჯულ სულის ანგელოზო
დაჭრილ გულის დიქტატორო,
დედოფლურის სიამაყით
გაბუტული რომ გაქვს დორო[1])
მსურს იმაზე მოგილოცო,
ჩამომენგრეს თუგინდ ზეცა,
და ცოდვების სანანულში
ქვეშ მოვექცე თქვენთა მეცა.

ბუტუნა.

---

[1]) დორო — დოინჯიანი ტუჩები.

სასჯელი

„მულო, შენ გეუბნები,
რძალო შენ გაიგონეო“

ხალხური.

საღამო ჟამს, შინ დაბრუნდა მძიმე შრომით მონაქანცი
დამშეული ყანის მუშა და ხელ მარტო სოფლის კაცი.
ცოლმა ვახშმათ დაახვედრა მჭადი ცომი, არ ნაცხობი
და გლეხს მშიერს ამ ამბავმა მოურია გულზე ცოფი.
წამოვარდა გაშმაგებით, წამოავლო კეცსა ხელი,
და გადაჰკრა უსინდისოს და გულ ცივ ქვას მან წკეპელი.
მიაძახა:—ეგ იმისთვის, რომ ვერ აცხობ კარგათ მჭადსო,
ეგაც მისთვის, ეგაც მისთვის; შენი გასწორება მწადსო.
ცოლმა იგრძნო ზრახვა ქმრისა; იცნო სიტყვა გადაკრული,
და წკეპელი მისდა წილათ მიიჩნია მან დაკრული.
— კმარა, კმარა! ნუღარა მცემ... მეყოფა რაც დამკარიო...
არ დაგხვდება აწი მჭადი არც ცომი, არც დამწვარიო.

გიორგი ლომთათიძე.

ქართველთა და მაჰმადიანთა საკითხი



მაშინ, როდესაც ბაქოელი ექიმი ბ-ნი სულთანოვი აჭარლებისა და ქობულეთელების თურქებათ გარდაქმნას ლამობს, ჩვენი სახელოვანი თანამემამულე გრ. რობაქიძე თვით სპარსეთის შუაგულში შეიჭრა და თავისი ლექსებით აღვიძებს მათ გულში გაქართველების სურვილს.

მეც უნდა გავიჭრა!

გუშინ წინ ნათლია ჩემის ბიძაშვილის მულის მამიდაშვილმა წერილი მომწერა, ჩემი სამშობლო სოფლიდან.

აი ის წერილიც.

„ძვირფასო ნიკო! შენ მაგრა მეიდგი ფეხი მაგ ქალაქში, რომ შენი სამშობლოს შესახებ არაფერს აღარც კითხულობ. სოფ. ბანძაში დიდი ამბებია. წარსული წლის 16 ნოემბერს ყაჩაღათ გავარდა მამა შენი. სოფელი დიდ საგონებელში ჩააგდო ამ ამბავმა, რადგან მიზეზი ვერ გეიგეს. 21 იმავე თვეს მას გაჰყვა დედაშენი სალომეც. იგი წალდითაა შეიარაღებული და შიშის ზარს ჰგვრის ხალხს. 25 ნოემბერს გავრცელდა შემაძრწუნებული ამბავი, რომ ყაჩაღათვე გაჭრილან ბაბუა შენი სერაფიონ, ბებია შენი მარიამითურთ, ხოლო 26-სს საღამოთი მათ შეერთებიან შენი ბიძები, ბიცოლები და ბიძაშვილები. იარაღის არჩევაში ბევრ დროს აღარა ჰკარგავენ: ზოგს თოხი უჭირავს, ზოგს ფოცხი, ზოგსაც უბრალო ჯოხები. თავს ბანძის მახლობელ ტყეში აფარებენ. 27 ნოემბერს მათ მიეკედლენ თქვენი მამიდაშვილი და დეიდაშვილები. გულგრილაო ვერ შეხვდენ ამ გარემოებას ვერც მამა თქვენის, დედათქვენის, და თქვენი ბიძების ნათლულები. ყველანი გაიჭრენ ტყეთ და მამათქვენის რაზმს შეუერთდენ. სულ ბოლოს გავარდენ თქვენი და ბიძა თქვენის სიძეები თავისი ახლო ნათესავებით. მოსალოდნელია ახლო მომავალში მათ შეუერთდეს ბიძათქვენის სიძის სიძე ბოქაული თავისი დარაჯებითურთ და რაც უფრო საყურადღებოა, მისი შვილების ნათლია ბ-ნი მაზლის უფროსიც. ამ წერილის მიზანია, შენშიაც აღვძრა გრძნობა რომ მყის დაუტევო ქალაქი და შემოგვიერთდე ჩვენ. იმედია წამოიყვან ყველა შენს მახლობლებს და კეთილის მსურველებსაც. მარადის შენი კიმოთე“.

ეს წერილი რამოდენიმეჯერ გადავიკითხე და არა ერთხელ გადავწყვიტე გავარდნა, მაგრამ ეგ ოხერი სიცივე მაბრკოლებს. რა გამაძლებიებს ამ ყინვასა და თოვლში სადღაც ხის ფუღუროში?.

ძამია.

მომენტის საკითხები

ეშმაკი.

შარადა

მდინარე იგი, რომელიც
შარადისათვის გვჭირია,
მყინვარის მთაში გამოდის
ჩვენსკენ უჭირავს პირია.

—

მგოსნებსა ხშირათ მასზედა
ლექსები დაუწერია.
გარს არე მარე არტყია
სიმშვენით აუწერია.
შარადისათვის, ამ სიტყვის
გვჭირდება სამი კბილია,
წინა მხარიდან დიადის
სიფრთხილით მოძრობილია.

—

სამკაულია ბროლისა
ზამთრისგან განაჭედავი
ცრემლათ ილევა საბრალოთ,
მხურვალე მზისა მხედავი.

ამასაც, წინა, მოვსტაცოთ
ობოლი ერთი მარცვალი
ზურგზე ავკიდოთ შარადას
ვითარცა გამოსაცვალი.

—

უკვე გათავდა, შარადა
შეკრულიაკინძულია...
იმისი ჩელის გამწყობი
არის კაენი კრულია *)

—

ომამდე იგი რუსეთში
იყო ყოვლისა მპყრობელი,
„ბენცელა" ბიუჯეტისა
ის იყო დედა მშობელი.
იფეთქა ომმა, მრისხანემ,
შეიქნა ტყვიის ზუზუნი...
სურათი გამოიცვალა,
მთავრობამ მორთო წუწუნი.
თუ გვინდა მტრისა შემუსვრა,
არ დავრჩეთ მისგან ძლეული,
უპირველესი საქმეა
მოვსპოთ ეგ სითხე წყეული.
სდევნიან. მაგრამ ვერავინ
ვერა დააკლო იმასა,
საცა კი მოევლინება
აწვიმებს ფულის წვიმასა.

შანთი.



*) ეგ სიტყვა პოეტისაგან სიმწვავით გადაკრულია.

ეშმაკი.

შაქარი ჭიათურაში

სცენა I მოქ.

(სცენა წარმოადგენს დუქანს, რომლის წინ აუარებელი ხალხია დაგროვილი სხვა და სხვა ეროვნების და სქესის. ელიან დუქნის გახსნას, რომ შაქარი შეიძინონ).

გლეხი. რავა დევიჯერო ახლა კომპერატისა იმდენი ძალა არ ქონდეს, რომ თვითონ მეიტანოს შაქარი და ამ ვაჭრის ხელში არ ჩაგვაგდოს!

ინტელიგენტი. უკუღმართათაა მოწყობილი წუთი სოფელი, ჩემო ბიძია. ეს ვაგონებით შაქარი, რომელსაც ეხლა ეს ვაჟბატონი ჰყიდის კოოპერატივს ჰქონდა გამოწერილი და ფულიც დიდი ხნით გადაგზავნილი, მაგრამ რაღაცა მანქანებით მაგან ჩაიგდო ხელში და დაწესებულებამ კი ვერა!

გლეხი. იი! ალბათ დიდი კაცია ვინმე, თვარა ღრუბერნატორი რავა ენდობოდა!

ინტელიგენტი. დიდია თუ პატარა ასე კია და!

გლეხი. (თავის ქნევით) კი ბატონო, კი დიდია. იმხელა სათვალეები აქვს თვალებზე მიფხობილი, რომ ნამდვილათ დიდი კაცი უნდა იყოს. (ამ დროს გაიხსნება დუქნის კარები და გამოდის სათვალოსანი თავისი ნოქრებით. ხალხში დიდი ჩოჩქოლი და ჟრიამული ასტყდება).

ხმები. ნიკო, ბატონო, ნიკო!

ნიკო. სიჩას, სიჩას, გასპადა.

ხმები. გასპადინ ნიკო, პარუმ ნიკო, უსტა ნიკო, აღა ნიკო, სენიორ ნიკო, მილორდ ნიკო!

ნიკო. სიჩას, სიჩას. (ხალხი მიზლვავებულია მოაჯირზე. ფულები უკავიათ ყველას და ნიკოს აჩეჩებენ ხელში) ბატონებო, აი იქ ჩემთან ჩაიწერებით, ხოლო მეორე სტოლთან მიიღებთ შაქარს.

ხმები. მე ჩამწერე მე, ბატონო ნიკო.

იუსუფა. გოსპოდინ ნიქოლაი, ფული მოგსა, შაქარი მამსა.

ხალხი. ორი ფუთი, ტრიცატ ფუნტოვ, მეკ ფუთ, იგირმი გირვანქა...

ნიკო. სიჩას, სიჩას.

ხალხი. (მიაცვივდება და ეხვეწება) ბატონო ნიკო, გოსპოდინ ნიკო, კნიაზ ნიკო, ბარონ ნიკო, ლორდ ნიკო, გრაფ ნიკო, უსტა ნიკო...

ნიკო. გასპადა თქვენ სურვილზე არ დავდივარ მე. მოგყიდით თუ გნებავთ ათ გირვანქას, ოცს-ოცდა ათს. ვისაც არ გნებავთ მიბძანდით.

ხალხი. (ყვირილი და ჩოჩქოლია) გვინდა, გვინდა!

ნიკო. ოჩერედით იყოს, ოჩერედით.

ხალხი. იყოს, იყოს!

ნიკო. (გადაჰხედავს ხალხს და შეჰნიშნავს შორს მდგომარე მის ნაცნობ თავადს. ეძახის) Князь, сколько желаете?

თავადი. Два пуда, два. (გაარღვევს ხალხს და იღებს კვიტანციას).

ხალხი. ოჩერედით იყოს, ოჩერედით! (დიდი ჩოჩქოლი და ყიჟინა შეიქნება).

ნიკო. სიჩას, სიჩას. (უძახის მის ნაცნობს ქალიშვილს) Барышня сколько Вамъ угодно!

ქალიშვილი. Полутора пуда, полутора. (ისიც გაარღვევს ხალხს და იღებს კვიტანციას).

ხალხი. ოჩერედი, ოჩერედი, გოსპოდინ ნიკო, ბატონო ნიკო!

ნიკო. სიჩას, სიჩას. (მღვდელს) Батюшка, сколько желаете?

მღვდელი. Два пуда, два. (საჩქაროთ აბამს ჯორს და ხურჯინის ხსნით მირბის კვიტანციის ასაღებად).

ხალხი. (ყიჟინით და ყვირილით) რა ამბავია ეს უოჩერედობა! Что такое, что за безобразіе!

ნიკო. სიჩას, სიჩას.

იუსუფა. (გაჯავრებული) სიჩას, სიჩას! როდის და სიჩას! შენ ბარიშნას და მოგსა, გინიაზი და მოგსა, მულლა და მოგსა. რატომ ჩემთან არ მოგსა შაქარი?!

ნიკო. Молчи, молчи, не болтай!

იუსუფა. ი ზაჩემ მენე ბალთაი! შენთან ღვინო დალია, ოდკა დალია. მე მარტო ჩაი დალია და შენ ჩემთან შაქარი არ მოგსემია?! შუდი თვე ჩემთან ჩაი არ დალიოს შენთან სურსხული არ არის, შენთან ღმერთი არ არის!

ხალხი. (იუსუფას აჩერებენ) კარგი, კარგი. (ნიკოს) გასპადინ ნიკო, ბატონო ნიკო. ჩაგვწერე, ჩაგვწერე.

ნიკო. სიჩას, სიჩას. (უძახის ექიმს) Господинъ докторъ! скокько Вамъ угодно?

ექიმი. Два мѣшка, два, (მიდის უკანა კარებიდან და მუშებს გამოატანიებს ორ მეშოკს).

ხალხი. ეს აბუჩით აგდებაა. ეს ინჩხაბარე! Что за безобразіе, что за насмѣшка!

ექიმი. ბატონებო! პატივცემულმა ნიკომ ბალნიცას დაუთმო 50 მეშოკი შაქარი. ეს ორი მეშოკი მართალია ჩემთვის მიმაქვს, მაგრამ ბალნიცის ანგარიშში და მე მგონია თქვენთვის საწყენი არ უნდა იყოს.

ხალხი. (ყვირილით) არ შეიძლება, არა!

იუსუფა. ოიხ ჯანუმ, ოიხ. შენთან შვიდმეტი ფუთი ზაიღოს და ჩემთან ერთი სტაქანი ჩაი არ დაჯიოს! (ხალხში დიდი ჩოჩქოლია. ისმის საშინელი უკმაყოფილება).

მანდილოსანი. ბატონო, ნიკო! ბავშვები დამიწყდა სიმშილით. ერთი გირვანქა შაქარი მომეცით ღმერთი გადღეგრძელებთ.

ნიკო. სიჩას, სიჩას, (ექიმს) Господинъ докторъ! можетъ быть еще желаете?

ექიმი. Нѣтъ, нѣтъ, пока довольно.

ხალხი. (აღელვებული ყვირის) რა ამბავია! ეს ექიმი, კნიაზი, მღვდელი, ბარიშნა! როგორ ჩვენ ხალხი არ ვართ!!

ნიკო. სიჩას, სიჩას, (ექსპორტიორს) Господинъ Вамъ сколько?

ექსპორტიორი. Одинъ мѣшокъ.

ნიკო. Хорошо, (მეორე ექსპორტიორს) А Вамъ сколько?

ხალხი. (ყვირის) ეს საცინლათ აგდებაა. Это безобразіе. Эта насмѣшка! (ხალხი იგრიალებს. ერთმანეთში აირევიან. დიდი ყვირილი და ჩოჩქოლია).

ვაჭარი. (ყვირის) ვაიმე ფეხი, ფეხი!

ხალხი. ახია შენზე. შენ აქ რა გინდა! შენ მერე ამ შაქარს მანეთად გაყიდი გირვანქას.

ვაჭარი. არა თქვენმა მზემ, ჩემმა მზემ. ჩემთვინ მინდა ქრისტიანო.

ნიკო. (ვაჭარს) მოდი, მოდი, რამდენი გინდა?

ხალხი. (ყვირილით) არ შეიძლება, არ შეიძლება! გააგდეთ ეგ ჩარჩი ეგა!

ვაჭარი. (ყოყოჩათ) Что значить прогоняй! что я не гражданикъ что ли?!

ხალხი. გააგდეთ, გააგდეთ! არ გვინდა, არა.

იუსუფა. ისტამირამ, ისტამირამ.

ვაჭარი. შენ ეი, დონლუზო, ხმა გაიქრე, თორემ მოვიდა ფათრეთში.

იუსუფა. (გაჯავრებული) დონლუზ და შენ ვარ, ეშაქ და შენ ვარ. შენ ვის დაარტყია? შენ ჩემთან ჩხუბი გააკეთა? ქოფაქ ქოფოიოღლი! მასხარა ქოფოიოღლი! (მიიწევენ ერთმანეთზე, მაგრამ არ უშვებენ).

ხალხი. კარგია, კარგი, თორემ ორთვეს გაგყრით აქედან. (ნიკოს) ბატონო ნიკო, კნიაზ ნიკო, აღა ნიკო, ჩაგვწერე პაჟალუსტა.

ნიკო. სიჩას, სიჩას. (მანდილოსანს) Мадамъ Вамъ сколько?

ხალხი. (აღელვებული ყვირის) არ შეიძლება, არ შეიძლება! ოჩერედით იყოს, ოჩერედით.

ნიკო. სიჩას, სიჩას.

ხალხი. სიჩას რომელია, დაღამდა კაცო!

ინტელიგენტი. აბა ნიკო! ეს შაქარი თუ საზოგადოებისთვის არის მოტანილი გთხოვთ რომ წესიერათ დაარიგოთ და არა ისე, როგორც თქვენ მოგეპრიანებათ. თუ ეს შაქარი მარტო საზოგადოების „მარილთათვის" და შავთვალა ბარიშნებისთვის არის, გაგვაგებინეთ და წავალთ.

ხალხი. მართალია, მართალი!

ნიკო. ვისაც ჩემი განაწილება არ მოსწონს მიბძანდეს.

ხალხი. (დიდი ჩოჩქოლი და ყვირილია) არ შეიძლება, არ შეიძლება! ეს ძალადობაა, ეს დაცინვაა! Это насиліе, Эта насмѣшка! მოგვეცით შაქარი. Дайте сахаръ.

ნიკო. ბატონებო! ეხლა უკვე დაღამებულია და ამიტომ შაქრის გაყიდვას ვსწყვეტ. ვინც ჩაწერილები ხართ და კვიტანციები გაქვთ, მობრძანდით ხვალ და მიიღეთ შაქარი.

ხალხი. არ შეიძლება, არა! (ყველანი ყვირიან) მოგვეცით შაქარი, შაქარი

ნიკო. არ შემიძლიან, არა. (ჭკეტავს დუქანს).

ხალხი. (ხვეწნით) ბატონო ნიკო, უფალო ნიკო, კნიაზ ნიკო, აღა ნიკო, უსტა ნიკო...

ნიკო. არ შემიძლიან, არა! (მიდის).

იუსუფა. (მივარდება ნიკოს) არია გედირსან, ოლან?

ნიკო. გამიშვი, დურაკ!

იუსუფა. დურაქი და ქართანქალა შენ ვარ. ოჩერედი, ოჩერედი, სად არის ოჩერედი? შენთან სურსხული არ არის! გინიაზი დამისემია, მულლა და მისემია, ვაჭარი და მისემია, დოხტური და მისემია, მადამი და მისემია, ბარიშნა და მისემია რატომ ჩემთან არ მოქსემია? ჩემთან კასი არ არის?

ნიკო. შენ გაჩუმდი გირჩევნია (ხალხს) ბატონებო, ხვალ მობძანდით ვისაც კვიტანციები გაქვთ. (მიდის).

ხალხი. (ყვირილით) წასვლა არ შეიძლება, არა! მოგვეცით შაქარი, შაქარი!

ნიკო. (წასვლას არ იშლის) არ შემიძლიან, არა!

ხალხი. (ხვეწნით) ბატონო ნიკო, უფალო ნიკო, აღა ნიკო, ხაზეინ ნიკო, უსტა ნიკო, გთხოვთ, გთხოვთ. (ნიკო ყურადღებას არ აქცევს ხალხის ხვეწნა მუდარას და მიდის. ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცემა. მთელი დღე უყურყუტეს და შა-

ქარი ვერ იშოვეს. თითქოს თითონ იყვნენ დამნაშავენი ისე დარცხვენილათ მისჩერებიან ერთმანეთს. დიდი სიჩუმე ჩამოვარდება. მერე ყველას ცრემლი მოადგება თვალზე. და ყველა აქვითინდება ვაი-ვუის ხმაზე).

ყველანი. რა ლაფი დაგვესხა
ვერ ვპოვეთ შაქარი,
დროა მოვიჭიროთ,
კისერში ბაწარი!
ვაი, ვაი, ვაი!

—

წყალთან მისულებმა
ვერ დავლიეთ წყალი,
რა გვიყო ნიკუჩამ
დაგვიყენა თვალი!
ვაი, ვაი, ვაი!

—

ინტელიგენტი. ცოლი ჩაის აწყობს,
არის თადარიგში,
ჩვენ ათი საათი
ვდგევართ მხოლოდ რიგში!
ვაი, ვაი, ვაი!

—

,,გოგია''. ჩაი დაგვეღუპა
ლუკმა გემრიელი,
დაგვრჩა მხოლოდ ხელში,
პარკი ცარიელი!
ვაი, ვაი, ვაი!

—

იუსუფა. იოხ სურსხულ-ნამუს,
ოჩერედი, ტაქსა,
მანუმ იოხ შაქარ,
ბარიშნას კი მოგსა!
ვაი, ვაი, ვაი!

—

ყველანი. რაღა გაეწყობა
დავრჩით ყველა თხაი,
ავიღოთ და ვირტყათ
თავში შავი ქვაი!
ვაი, ვაი, ვაი!

გოგია.

ამასაც თუ მევესწრეგოდი აღარ მეგონა

(გურიის ცხოვრებიდან)

— ოხ შენი ჭირიმე ბატონ-ყმობავ შენს მომგონს კი ვენაცვალე. ნეტაი ერთს კიდო მომასწროდეს ღმერთი შენს დანახვას და თუ გინდა იქინე მომკლას აღარ ვჩივი.

— რა იყო არჯევან რა ამბავია? რა შეიტყვე მ საშინელებას რომ ნატრულობ?

— რა იყო და სიცოცხლე იყო, ბატონო, სიცოცხლე მაშვინ. ხუმბრობა, თამაში, ქეიფი. ახლა დეიკავე აი სამ ოყიანი თოხი ყაძახმა, გადი ამ ეწერაზე, კაი მიწას შენ ვინ მოგცემს, და ამ გაგადია სიცხეში ურტყი წელ გუუმართავათ დილიდან

საღამომდი და საღამოიდან დილამდი. შემოდგომა-ზე მუუყრი თავს, მესამედს მიწის პატრონი წეი-ღებს, ზოგს ჩხიკვი შეჭამს ზოგს სანამდი ხარებს იშოვიდე საქონელი, და შინ მიგყობა ბუის კვერ-ცხები. ცოლშვილი ცალკე გენდურის მუშაობა არ იციო, უჩიტელს უნდა, მამასახლისს უნდა, ფოშ-ტის ფული უნდა, მისალოცავი, წასაბურავი, ჩასა-ცმელი, დასახურავი და განა ყველაის ჩამოთლა შეიძლება? მაშინ ბატონო ვიყავით სამოცი, ოთხ-მოცი შინაყმა. ზოგი ღორს მეიტანდა, ზოგი ღომს ქათამს, ინდაურს, ბატს, საკლავს და მთელი დღე და ღამე მრავალ ჟამიერ, ცეკვა, ხუმრობა იყო. წევიდოდა ბატონი სამე და წაგვიყვანდა და ახლა იქინეი კაი უშობელს წკეპედენ და გააგორებდენ სახლში ვიყავით შამოგველეოდა წევიდოდით ამა-ღამ მოვთხრიდით ყაძახს, მოგვყავდა ხარი, ძროხა და კიდო ქეიფი და ორომტრიალი იყო.

ვიდექით კაისაგან კაი სახაიერო ადგილში, ზამთარში თუ ორაგვეს ვიყავით სასახლეში, ზაფ-ხულში ბახმაროზე, გაზაფხულზე გომში და სადაც მოვინდომებდით. რავა ყოლიგან ჩვენი არ იყო? ქე ვიყავით ბატონო ყველაი კარგათ. თავი რავა წამო-სტკივდებოდა ვინმეს. ყველაი მდევსავით ყაძახები. ჩვენი ქალი კამბეჩს წამეიკიდებდა ზრუგზე ისთე, რომ არც დეიკუთებდა. ახლა შენ ბალნები იკითხე იმისთანა თოზალ თოზალი ბალნები იყო, რომ ავი თვალით არ შეეხედებოდა, დღეს გეიხედავ, ბატონო, მიდის ვინცხა, შვიდი წლის ბალანაი გგო-ნია, მიეწევი ორმოცი წლის ყაძახი მიწას ძალითაი აჩნია. დეიბადა ბალანაი ერთი წლის გასვლამდი ვერც კი შიატყოფ ყვავის ბარტყია, ცინტალია თუ დასტურ ბალანაი და ქალი კი იმდონს კივა დაკრუსუნობს გეგონება ბალანაი კი არა მდევი გააკეთაო. სადაა ძველათ რომ ღამის თევა იყო მელოგინეს მარტუაი რავა დატუებდენ. ორ კვი-რეს მაინც იყო ბატონო მთელი ღამე ხავიწის კე-თება, ხუმრობა, მასხრობა. „ბერიჩამოხტა“ „აჩიტი“ „ბექდობია“ და რა გინდა რა თამაში. ახლა მელო-გინეს მოსვენება უნდა ნერვები დაუმშვიდდესო და და სიახლოვეს არ გაკარებენ. გეიხედავ, ბატონო, დუუკიდია ყაძახს კნიაზურათ ლეკური, სატევარ-ლევერი, ჩაუცვამს შარვალი, წაღები, თავზე ბოხო-ხი. ერთი მაშვინ გიებედა შარვლის და წაღების ჩა-ცმა და ლეკურის გადაკიდებ და, ნახავდა რავაი ჩა-მცმელი იყო. სადაა ახლა პირი? მაშინ ბატონი ნუ მომიკვდებაო რომ დევიფიცებდით გათავდა, კვერ-ცხივით შევასკდებოდით ვინც უნდა ყოფილიყო ჩვენი ბატონის მტერი და ორგული. აწი ხუმრო-ბას არ იტყვი? მახსოვს ერთი აფრასუხაი იყო, გვა-რი ახლაც არ ვიცი, აფრასუხა ხუმარას უძახოდენ. მევიდოდა ბატონო და ჩვენ ბატონთან რომ მე-ჯერებდა გულს ხუმრობა საჩუქრებით ახლა და-ანებში წევიდოდა, იქინეიც იცნობდენ. ერთ ალდგომა წინდღით მივიდა თურმე იქინეი. იმ სა-ღამოს ბევრი ისაუბრეს და მოსასვენებლათ ყველა გვიან დაწვენ. დადიანისას უწინ ჩვეულება ქონ-დათ ალდგომის წინ შვა ღამეზე სასახლის ეკლესია უნდა გეენათებიათ: სახურავზე, ძირს და შვა ალა-გას. ახლო-ახლო ფისით საფსე ქოთნებს დგამდენ და შვა ღამეზე უუკიდებდენ. რომ დაწვენ, ჯერ ქოთნები არ იყო აკიდებული, მარა ბევრი დრო არ იყო დარჩენილი. აფრასუხამ რომ იფიქრა ახლა კი იქნებიან სასახლეში მიძინებულიო, ჩუმათაი კარ-ში გამევიდა. მართლაც ყველას ეძინა და ქოთნე-ბიც ანთებული იყო. მორთო ყვირილი:

— დევიწვით ბატონო, სახტარი იწვის ვინ ხარ ქრისტიანი გვიშველეთო. მიაშურა საჯალაბო ახლა იქინეი წამოყარა შინა ყმები. დარბის ამ ულფათ გამოღვიძებული ხალხი, არ იცის რაშია სა-ქმე. შეიქნა კივილი, ძახილი, წყევლა, ვაი უშვე-ლებელი; გამუარდა დედუფალი იუპკის ამარა და-დიანი პერანგით. სადაა ცეცხლი? ეგერ ბატონო საყტარი იწვისო. მაშინვე გეიგო დადიანმა აფრა-სუხაის ოინები, მარა რაღაი... იმ ღამეს უძინარი დარჩენ. მაგიორში აფრასუხა წირვაზე რომ წავი-და სანთელი მისცეს. მივიდა ერთ ხატთან, და

წერა პიჯვარი, ქნა მეტანია და სანთელი აანთო, უნდა ახლა რომ სასანთლეზე მიაწებოს სანთელი გაქრა, ახლა მეორე ხატთან მივიდა იქინეიც ისეთ მეტანიე ქნა, აანთო, მიწებება ვერ მიასწრო გაქრა. ასთე შვიდ რვა ხატამდი ჩამეიარა, ბოლოს ჩეიდვა თურმე ჯიბეში და ხმა მაღლა ყველაის გასაგონათ თქვა: ღმერთმა კი იცის, მე გულით მინდოდა შამომეწირა თქვენთვის და თუ არ მიიღებთ რა ვქნა ახლაო. თურმე იმ ღამეს მოტყუების მაგიორში მის სანთელს განგებ შალის გული გაუკეთეს. დააყარეს აფრასუხას სიცილი, მარა დადიანმა მაინც სადილზე რომ დაჯდენ ცხენი აჩუქა. აფრასუხას სადილის გათავებიზა აღარ უცდია:

— ამას აქედან მეგრელები რას გამატანს, ახლავე თვარ წევიყვანეო და მოცოცხა მაშვინათე გურიისაკენ. ბევრი უყვირეს თურმე: „ვარ გუუტუა ჯიმა ეშმაკი ქორთუო“, მარა მას უკან აღარ მუუხედავს ისევ გურიელს მუაშურა.

მოაგდო ბატონო სასახლის ბალკონთან აი ვინ იცის, ეგება ისევ გურიიდან წაყვანილი ცხენი: არის სასახლეში სერესკელი ხალხი, ქეიფი სიმღერა. ახლაც ყურში მესმის მელქისაის რაკრაკა გამყივანი ასთე გეგონებოდა ენის კილტესთან სალამური აქ ჩადგმულიო. ახლა შენ ლუკაიეის ბანი იკითხე, რომ დადგამდა ბატონო გოდრით რა ჯობდა იმის ყურებას. ხო და მევიდა ბატონო აფრასუხაი სასახლეში. ჯერ თავდახრილი გურიელის და დედოფალის წინ გაჩერდა. გურიელმა და დედოფალმა ქრისტე აღსდგა მიულოცეს. ხელათ აფრასუხას ულუფა მიართვეს. გურიელმა თავის სუფრიდან კიდევ ქათმის კისერი და ჯლიგვი მუუკითხა. გაჩაღდა ბატონო: ქრისტე აღსდგა, იაგუნდის მარანში და რა გინდა სულო და გულო სიმღერები. მერე გურიელმა აფრასუხას უბძანა ახლა შენ იმღერეო. მაცა ბატონო ჯერ არ გავმძღარვარო. გურიელი არ მიეშვა აბა კი ვიტყვი მარა ყველამ უნდა იმღეროთო. კიო გურიელმა პატიოსანი სიტყვა მისცა. აბა ბატონო აღდგომასა ვიგალობოთო. დასთანმხდა გურიელი. ჯერ სიტყვები ჯერ სიტყვები დეისტავლეთ და მერე დევიწყოფო. აღდგომასა სიტყვებს რა სტავლა მინდა ისეც ზეპირათ გიცოო.

— არა, ბატონო, მე ახალ აღდგომასა შენსა მოგახსენებო. იფიქრეს ალბად სამეგრელოში ისტავლიდაო. დააყენა აფრასუხამ ფეხზე გურიელი დედოფალი და ყველა იქ მყოფი თავად აზნაურობა.

— აბა თქვით: „აღდგომასა გეიმეორა ყველამ აღდგომასა, „დედოფალსა ჩვენსა“ გაიმეორეს დედოფალსა ჩვენსა, „აფრასუხა .....“ აფრასუხა..... სიტყვა არ ქონდენ თლათ გათავებული უიო იკივლა დედოფალმა, რა თავს იგდეფო მიაყვირა გურიელმა.

არ გუუშვათ, არ გუუშვათო, მარა აფრასუხაი ისევ მოხტომია თავის ბაჩას და მიაქროლებს თავდალმართში...

ხო და ქე ვიყავით ბატონო ამ ღვთის გაჩენილ ქვეყანაზე ყველაი მოლხენით. აი ცოლშვილიანი ყაძახბეი ვთამაშობდით ჭაკუნს, ჯაფარიკას, ახლა ავარჩიეთ ბატონო აი უჯმაჯურიძის მუტაკიე ყაძახი მამასახლისათ. ძველი დროი რომ იყოს მაგ თირიქელას მამასახლისათ კი არა ჩვენთან არც კი გავარუნიებთ. ახლა კი ისე შამობრძანდება კანცალარიაში, ვითამ გურიელი მაგი იყოს და მე მისი ყმაის მოჯალაბე... დეილოცა ღმერთო შენი სამართალი. ამასაც თუ მევესწრებოდი აღარ მეგონა სწორეთ.

დია.



ფოსტა

ბ-ნს ლ. თეკლათელს. თქვენი წერილის ბოლოში პატარა პრინციპიალური შეცთომაა. თქვენ იწერებით: „იძულებული შევიქენი გამომეგზავნა თქვენთვის ეს ლექსები; იმედია არ გეწყინებათ, მით უმეტეს, რომ მწამს **ნაგვის გოდორი** ახლო გექნებათ". მოგახსენებთ, რომ უვარგის ლექსებს ჩვენ „ნაგვის გოდორში" კი არა ვყრით, არამედ „სარედაქციო კალათში". იქ გაცილებით უკეთესი ატმოსფერა და წესწყობილებაა, ვიდრე „ნაგვის გოდორში"

კერძოთ თქვენი ლექსების შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ თუ იმათაც ტრაღიკული ბედი ეწიათ, მხოლოდ მათი სერიოზული კილოს მიზეზით. ჩვენ არა ერთხელ განგვიცხადებია, რომ ჟურნალში სახუმარო შინაარსის წერილები იბეჭდება. შემდეგისათვის ეგ იქონიეთ სახეში.

გოლგოთელს. სამწუხაროთ თქვენი „სცენა" ვერ დაიბეჭდება, ვინაიდან ამავე საგანზე წინა ნომერში დაიბეჭდა განსაკუთრებული წერილი. თუ ჩვენი ჟურნალის თანამშრომლობა განგიზრახავთ მტკიცეთ მისდიეთ სოლომონ ზურგიელიძის ამ საპროგრამო აფორიზმს:

„სიცილი უფრო სხვა არის
ვიდრე ტირილი კურცხლითო:
იქ წყალი მოგვდის თვალიდან,
აქ კი ვიცინით: ხა, ხა, ხა!"

ამგვარათ მეტი იუმორი, მეტი სიცილი, ხოლო ნაკლები მოთქმა და ნაკლები ცრემლები.

ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკი

მათრახი

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —
6 თვით 4 მ. — კ.
3 თვით 2 მ. — კ.
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშმაკი, ხოლო გამოცემის საძმეს კანტორა „განათლება"

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6, поч. ящ. № 96.

რედაქტორ-გამომც. თ. ბოდვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ., № 1